საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№91 (6317) სამშაბათი, 31 ივლისი 1990 წელი ფასი 8 მან.

კრეფენ კურკოვან ხილს

ტვიშის კოლმეურნეობის მშრომელებმა [illegible] მეურნეობიდან სახელმწიფოს 26 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი უნდა მიჰყიდონ. აქედან 10 ტონა კურკოვანი ხილი აქვთ მისაყიდი. კოლმეურნეობას კურკოვანი ხილის გაბნეული ბაღი აქვს და იჯარით გაცემულ ნაკვეთებში არსებული ხილის დაკრეფისას ღირებულების 50 პროცენტი მოიჯარისაა.

სამდურავი არ ეთქმით აქაურ მშრომელებს. მიმდინარე წელს ორივე სახის ხილმა კარგად მოისხა.

სულ რამდენიმე დღეა, რაც მიმღებ პუნქტებს კურკოვანი ხილის პირველი პარტია ჩაბარდა. დანაკარგებთან ბრძოლა, მიმღები პუნქტებისათვის ხარისხიანი ხილის ჩაბარება და საგემო დავალების შესრულებისათვის ზრუნვაა აქაურ მშრომელთა მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გივი გუმბარიძის მიმართვა

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი

დღეს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა პოლიტიკური და ისტორიული რეალობის სახეს იძენს, როდესაც გამოიკვეთა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების თვისებრივი განახლებისა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების წარმატებით გადაჭრის კონკრეტული გზები და საშუალებები, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საერთო-სახალხო ძალისხმევის საფუძველზე ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე კარდინალური პრობლემების გადაწყვეტას.

სწორედ ამიტომ, შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ისედაც მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ფონზე გამოიკვეთა მისი მკვეთრი გართულებისა და სერიოზული დესტაბილიზაციის აშკარა ტენდენცია, უაღრესად საშიშ ზღვარს მიაღწია კონფრონტაციამ, ვერ გამოირიცხა ძალისმიერი დაპირისპირებაც, რამაც შეიძლება მოგვიტანოს ამარჯა და ქაოსი, მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

დაბეჯითებით მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაქსიმალური პოლიტიკური წინდახედულობა და პასუხისმგებლობა, განუხრელად დავიცვათ მოქმედი კანონები, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული მდგომარეობის შემდგომი გართულება, საფრთხე არ შეექმნას სამოქალაქო მშვიდობას, ყველაფერი ვიღონოთ ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაციისათვის, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მიზნების ხორცშესხმისათვის.

გივი გუმბარიძე.
1990 წლის 26 ივლისი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს მთავრობა მოგმართავთ თქვენ რესპუბლიკაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო.

თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება უმძიმეს კრიზისს განიცდის.

მთავრობა, ყველა მისი ფორმირება და დანაყოფი ცდილობს მაქსიმალური ძალისხმევით, ყველა შესაძლო ეკონომიკური, ორგანიზაციული, საწარმოო ღონისძიებით გამოიყვანოს რესპუბლიკა კრიზისიდან.

ერთგვარი შედეგების მიუხედავად, სამწუხაროდ, სტაბილურობის მიღწევა ვერ ხერხდება უაღრესად ძნელად გადასალახავი ობიექტური პრობლემებისა და მიზეზების გამო.

მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ ამ სიტუაციაში ცალკეული პირები ცდილობენ ხელოვნურად გაამძაფრონ კრიზისი, გააღრმაონ დესტაბილიზაცია, შექმნან საწარმოო კოლექტივებში, რკინიგზასა და ტრანსპორტზე არანორმალური მდგომარეობა, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ და ცალკეულ შემთხვევაში აღწევენ კიდეც მიზანს.

ასე მოხდა დღესაც, როცა გარკვეული ჯგუფები გადაუდგნენ და გააჩერეს რკინიგზაზე 31 მატარებლის მოძრაობა. რესპუბლიკის მოსახლეობას დააკლდება 1,400 ვაგონი ხორბალი, შაქარი, სხვა სასურსათო საქონელი, ნავთობპროდუქტების ცისტერნები. საველე სადგურებში იძულებით გაჩერებულ 13 მატარებელში 7,700-ზე მეტი მგზავრია, მათ შორის 800-ზე მეტი ბავშვი.

ისიც უნდა ითქვას, რომ საწარმოო პროცესის, საწარმოო ციკლის დარღვევის ერთიანი ფაქტიც კი უაღრესად უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკის გაჯანსაღების იმ პროგრამის რეალიზაციაზე, რომლის განსახორციელებლად იღვწის ამჟამად რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს მთავრობას ადრეც არაერთხელ განუცხადებია და აცხადებს დღესაც, რომ მზად არის, ყველა პრობლემა, რაგინდ მწვავეც უნდა იყოს იგი, განიხილოს და გადაწყვიტოს ფართო საზოგადოებრიობის, ყველა პოლიტიკური ორგანიზაციისა და მოძრაობის აზრის გათვალისწინებით, საერთო-სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი თანამშრომლობით უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ არაერთი პრობლემა გადაჭრა. მით უფრო გაუგებრად და მიუღებლად მიგვაჩნია პროტესტისა და აქტიურობის აღნიშნული ფორმები.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ყველა ამ აქციის მოსალოდნელი შედეგისათვის პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, დაეკისრებათ მათ ინიციატორებსა და ორგანიზატორებს.

რესპუბლიკის მთავრობა მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა შრომითს კოლექტივს, სკოლებს, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, დაწესებულებების კოლექტივებს, საზოგადოებრივ მოძრაობათა ყველა გაერთიანებასა და ჯგუფს, იღონონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული: ნუ ავყვებით ემოციებს. გავაერთიანოთ ძალისხმევა რესპუბლიკაში სიმშვიდის დასამყარებლად. არსებული მწვავე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

ყველა ჩვენგანის მიზანი ერთია — დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ცივილიზებული და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს შენება.

20 ტონა აბრეშუმის პარკისათვის

რიურაჟი შემოიპარებოდა თუ არა, ფეხზე იდგნენ. სხვანაირად შეუძლებელი იყო. საქმეს შეეჩიდნენ და მიზნისათვის უნდა მიეღწიათ კიდეც, თავი არ უნდა შეერცხვინათ,—ასე ფიქრობდა თითოეული მათგანი.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 4-მა ახალგაზრდამ მეაბრეშუმეთა რგოლის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. თინა ლეთოდიანი რაიაბრეშუმის სპეციალისტია, ბელა დავითულიანი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში მუშაობს, მაია ბენდელიანმა წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, გოჩა ლეთოდიანი კი საგზაო სამმართველოს მუშაა.

70 გრამი მური გაიყვანეს მოსავლელად. გვინდოდა ჩვენი წვლილიც შეგვეტანა ქართული მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეშიო—აღნიშნეს საუბარში.

ერთად შრომა სახალისო აღმოჩნდა. თუმცა მრავალ სიძნელესთან შეეჭიდებაც მოუხდათ, მაგრამ როდი

საქმეში ულალატონი

შეშინებულან. ისე დაიზარდნენ ჩვენი ჭიები, ერთ სახლში ვეღარ მოთავსდნენ და ორი სადგომიც დაგუთმეთო—ღიმილით მიყვებიან. ჭიებს ჩელტებიც აღარ ეყოთ. ბევრი რაიაბრეშუმმა მისცა, ნაწილი კი თვითონ გააკეთეს.

თუთის ფოთოლზე გასაჭირი ხომ იყო და იყო. მათ დახმარების ხელი გამოუწოდეს თანამშრომლებმაც და მეგობრებმაც. თუთაზე ნამეტანი რომ გაგვიჭირდა, ყველა ჩვენს გვერდით დადგა—რაიონისა თუ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, საიდან აღარ გვამარაგებდნენო.

ამ დაძაბულ შრომაში ერთი თვეც მიილია და მიმღებ პუნქტს 395 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიუწონეს.

წელს რაიონში მეაბრეშუმეთა მხოლოდ ეს ერთი რგოლი არსებობდა. ახალგაზრდებმა კარგ საქმეს მოჰკიდეს ხელი. მათ სწამდათ, რომ იქ უნდა იდგე, სადაც ყველაზე მეტად ხარ საჭირო, იქ უნდა მოსინჯო შენი ძალა და ღონე, და კიდევ, თითოეულ მათგანს კარგად ესმოდა, რომ დაწყებულ საქმეს არ ეღალატების.

გვიმრავლოს ასეთები!

ბ. სალინაძე.

ჩვენი დღეების ადამიანები

სოფლის სიყვარულით

ლაცორიელი მუხრან ახვლედიანი საცხოვრებლად სოფელში დარჩა და სპეციალობადაც ისეთი პროფესია ირჩია, რაც ყოველთვის და ყოველ დროსაა საჭირო სოფელში.

მუხრანი მექანიზატორია და ტრაქტორის საჭეს აგერ უკვე 10 წელია რომ უზის. შრომას, სოფლისა და საქმის სიყვარულს ბავშვობიდანვე ეზიარა და ეს ყველაზე კეთილშობილური გრძნობა კვლავაც ძალაში რჩება.

ახლა, როცა ასე დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში, როცა „რა მენაღვლება, რა ჩემი საქმეა"—ამ განწყობილებით შრომამ ვხედავთ სადამდე მიგვიყვანა, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ყველა თავისი საქმის ბატონ-პატრონი უნდა იყოს, აი, ეს თუ გადაგვარჩენს, ერთმანეთის ნდობა, ერთსულოვნება და პატივისცემა თუ დაგვაძლევინებს იმ სიძნელეებს, რაც დღეს ჩვენს ყოფაში სუფევს.

ძალზე დაძაბული და დაუსვენებელი საქმე ჰქონდა გაზაფხულზე მექანიზატორს. მურთაზის დახნული და დათესილია ხოჯისა და ლაცორიის 15-15 ჰექტარი სასიმინდე ყანები, გარდა ამისა ვისაც კი რაიმე დასჭირდება, მზადაა დაეხმაროს.

ახალგაზრდაა მექანიზატორის ოჯახი. ჯერჯერობით ორ შვილს, მომავალ თავისუფალ საქართველოს ორ ნაშიერს უზრდიან. თქმა რად უნდა, რომ ამ მშრომელ ოჯახში შვილებიც საქმიანები გაიზრდებიან. სახიამოვნო სანახავია მათი კარ-მიდამო, კოლმეურნეობისაგან იჯარით აღებული 0,15 ჰექტარი ზვარი და 0,2 ჰექტარი სასიმინდე ყანა უხვი მოსავლის გარანტიას იძლევა.

ჯ. მანდარია.

საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის მეორე ეტაპის წინ

საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის მეორე ეტაპის წინ ჩვენ შეგვიძლია კარგად ავწონ-დავწონოთ რეალური მდგომარეობა, საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის გზაზე, საბოლოო ჯამში, საქართველოს ბედ-იღბალი, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებელი კომპარტიის მომავალი. ცხადია, მოსკოვში ბა მიუხედავად ზემოთთქმულისა, კონსერვატული ნიშნით იყო დაღდასმული. ყრილობა იმდენად ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ჯგრესიულობა, რომ ბევრმა პარტიაც კი დატოვა ქვეყნის კომუნისტთა ფორუმზე. აგრესული რეაქცია ვლინდებოდა ნებისმიერი მოწინავე აზრის, ალტერნატიული იდეის გამომჟღავნებისთანავე. დიახ, უნდა ხალხს მობეზრდა მხოლოდ ლოზუნგებით და მიტინგებით, პროტესტებით და აქციებით ცხოვრება. უშრომლად და უსწავლელად საქართველოს ვერ გამოვადგებით.

ახლა სოფლად გაურკვეველი ვითარებაა. ცხოვრებამ მოიტანა და საჭიროა კარდინალური ცვლილებები სოფლის მეურნეობაში. ბოლოსდაბოლოს მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვისაც მისი მოვლა შეუძლია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია—ჩვენ უნდა ავირჩიოთ საკუთრების ის ფორმა, რომელიც ჩვენი სოფლისათვის, მისი კონკრეტული პირობებისათვის აუცილებელია და პრაქტიკული. მომგებიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შენარჩუნებას ვინ გვიშლის.

და რაც მთავარია, საქართველოს, მის მომავალს გადაარჩენს თვითგანწმენდა. ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ, ორგანიზაციამ, ოფიციალურმა თუ ოპოზიციურმა ხელმძღვანელმა უნდა იფიქროს საქართველოზე და ქართველებზე და არა პირად კეთილდღეობაზე.

ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ახლა მთავარია რეალური საქმე, ადამიანების გვერდში დგომა, ეროვნული პოზიცია და არა ქაღალდები და დადგენილებები, მოჩვენებითობა და სიყალბე, რომლითაც ასე გვატყუებდნენ და ჩვენ სხვას ვატყუებდით წლების მანძილზე.

მ. გოგიძე,
ცაგერის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

თვითგანწმენდისათვის

მიღებული გადაწყვეტილებანი საშუალებას გვაძლევს რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე გამოვმედოთ უფრო დადინჯებით და საფუძვლიანად.

სიმართლე უნდა ითქვას, სკკპ 28-ე ყრილობაზე იყო მკაცრი, საქმიანი სჯა-ბაასი, ისეთი, ჩვენ რომ არ ვიყავით მიჩვეული. ბევრი დელეგატის გამოსვლამ შეშფოთა ყრილობა პროგრესისა და დემოკრატიისაკენ. ის, რომ სკკპ წესდების 22-ე პუნქტი ჩვენთვის სასურველი რედაქციით იქნა მიღებული, ამის შედეგად დამოუკიდებლობის გზა მართლაც ხსნილია.

დამთავრებული ყრილობის შედეგებიდან გამომაქვს დასკვნა, პარტია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოებისადმი მეურვეობაზე აიღოს ხელი, მოსცეს საბჭოებს დამოუკიდებლობა და მეტი გაბედულება.

მაგრამ, ჩემის აზრით, ყრილობამ ეჭქვათ სიმართლე, რომ ყრილობა აშკარად ძალისმიერი იყო, განსაკუთრებით აქტიურობდა არმია, რაც არასწორია.

აქედან გამომდინარე ჩვენ, ქართველებმა, სწორი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. ცენტრი არაფერს მოგვიტანს, არადა ღალატი თავისთავად სვამს კითხვას: საით მივდივართ? თუ ასე გაგრძელდა უდისციპლინობა და განუკითხაობა, ანარქია და ურთიერთდავა, კინკლაობა, შური და ბაუტანლობა, საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ და მხოლოდ ნანატრ ოცნებად დაგვრჩება. ჩვენს გვერდით ძალიან ბევრია ისეთი, რომელსაც ოღლი ცხოვრებით უნდა ფონს გასვლა. ასეთები ეროვნულ მოძრაობას ეტმასნებიან და ხშირად პატიოსან ადამიანებს არა თუ მხოლოდ „მორალს" უკითხავენ, არამედ შანტაჟსაც კი ეწევიან.

ეროვნული ინტერესი, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ინიციატივა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ენა, ეროვნული ფერი, ეროვნული ეკლესია, ეროვნული ... ...

ჩვენი წარსული ჩვენი ისტორიაა

მურის ციხე

ვინც ლეჩხუმში და მის რაიონულ ცენტრში ცაგერში ყოფილა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია ცაგერის ჩრდილოეთით მდინარე ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე კლდოვან თხემზე მდებარე მურის ციხეთა კომპლექსისათვის, რომელთა სახელები ისტორიამ ასე შემოგვინახა „დაუხვდი“, „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“.

1947 წელს პოეტმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ მურის ციხეებითა და მისი შემოგარენით აღფრთოვანებულმა შექმნა ძვირფასი ლექსი „სამი ციხე“

„მურის ძველ ხიდთან, სადაც
გორმახებს
თითქოს მდინარემ დანა დაუსვა,
სამი ციხე დგას: ციხე—„დაუხვდი“,
ციხე—„დაჰკარი“ და „არ
გაუშვა“.

მურის ციხე თავისი მდებარეობითა და მიუვალობით ერთ-ერთი შთამბეჭდავია მთელს ლეჩხუმში. იგი მდებარეობს ზუსტად სვანეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, ცხენისწყლის კლდეკარში, კლდოვანი ქედის თხემზე, რომელიც პერპენდიკულარულად ებჯინება მდინარის მარცხენა ნაპირს.

მურის ფორტიფიკაცია ციხითა და ცალკე მდგომი ოთხი მოკავშირე კოშკით ერთიან რთულ სათავდაცვო სისტემას ქმნის.

ციხეს „დაუხვდი“ მაღალი, კლდოვანი თხემის შუა ნაწილი უკავია. მისგან აღმოსავლეთით ციხის მისადგომი ოთხკუთხა კოშკით („დაჰკარი“) არის დაცული. დასავლეთით თხემის განაპირას, მეორე, სათვალთვალო კოშკი მდგარა. ამ კოშკებს შორის ადვილად გასავლელი კლდოვანი მონაკვეთები დამატებითი კედლებით იყო დაცული. ქვემოთ, მთის ძირში, იქ, სადაც მდინარის კალაპოტი კლდეკარს ქმნის, ორთავე ნაპირას თითო კოშკია.

დამრეც ფერდობზე აღმართულ ციხეს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს. კარს მის ზემოთ მოწყობილი საბრძოლო ბილიკიდან იცავდნენ. ციხის ცხოვრების უადრეს პერიოდს განეკუთვნება დასავლეთი ნაწილი. იქ არსებული კოშკის ორი კედელი, რომელიც გვიანდელი მაშიკულებით სრულდება, თითქმის მთელ სიმაღლეზე ამოყვანილია მტკიცე თარაზული წყობით, კარგად შერჩეული, თანაბარი ზომის კვადრები საგულდაგულოდაა მორგებული ერთმანეთზე. მსგავსი წყობა შეინიშნება კედლის ქვედა რიგებში.

ციხის აღმოსავლეთი ნაწილი დათმობილი აქვს წაგრძელებულ სწორკუთხა ფორმის „ციხე სახლს“, რომელიც ყველაზე მაღალი შენობა უნდა ყოფილიყო. მისი აწდანგრეული სამი გვერდი ორმაგი კედლით ყოფილა ნაშენი, მეორადი კედელი შიგნიდან ამოუყვანიათ. ოთხსართულიანი ნაგებობის პირველ სართულს სამეურნეო დანიშნულება ექნებოდა. დასავლეთის მხარეს შემორჩენილია მეორე სართულის კარის ღიობი შესასვლელის საპირისპიროდ გაჭრილი სარკმლიდან, როგორც ჩანს, ციხის მისადგომებს უთვალთვალებდნენ. მესამე სართულზე ფართო ოთხკუთხა ღიობებია: სულ ზემოთ, საბრძოლო სართული მაშიკულებით სრულდებოდა. აღწერილი „ციხე-სახლი“ შეიძლება მივიჩნიოთ მის მფლობელთა სასახლედ.

ციხის ეზოს შუა ნაწილში შემორჩენილია კედლების ფრაგმენტები. იკითხება სწორკუთხა სა-

მურის ციხე, კოშკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურის ციხის ნანგრევები.

თავსოს გეგმა, რომელიც აღმოსავლეთით „ციხე-სახლს“ ემიჯნებოდა. ჩრდილოეთის მხრიდან ციხეს ზღუდავს პიტალო კლდეზე დაშენებული გალავნის კედელი, რომელიც დასავლეთ ნაწილში ტრაპეციის მოხაზულობის მონაკვეთს ზღუდავს. აქეთ შეინიშნება სამეურნეო სართული თახჩებითა და მიწაში ჩაფლული ქვევრებით. ზემოთ საცხოვრებელი სართული უნდა ყოფილიყო, კლდეში სარკმლებია დაყოლებული.

ციხის გარეთ, შედარებით გაკაებულ ადგილას, წყლის რეზერვუარი და დამხმარე ნაგებობათა ნაშთებია.

თხემის აღმოსავლეთით მდებარე კოშკი შედარებით უკეთ არის შენახული, კოშკის კედლები ერთობ თხელია (60 სანტიმეტრი). კარი აქაც მეორე სართულზეა, დასავლეთით პირველ და მეორე სართულზე თითო სარკმელია ჭერთან ახლოს გაჭრილი. ღიობები მრავლად არის მესამე სართულზე. სულ ზემოთ

(დასასრული მე-4 გვერდზე).

გაშრკვევლობას?

შეიძლება და ხდება კიდეც ბალტიისპირეთში, რომლის გასაბჭოებაც შედარებით გვიან მოხდა. იქ ჯერაც არ წასულა ამ სოფლიდან მაშინდელი თაობა, ცოცხალია ხალხის ხსოვნა და დოკუმენტურადაც შეიძლება მემკვიდრეობის უფლების დადასტურება. ჩვენთან კი ყველაფერი ეს მიახლოებით შეიძლება აღდგეს, მაგრამ საზღვრების დადგენა შეუძლებელია. ერთი უბრალო მაგალითი: გლეხი ამბობს, ეს სოფელი სულ ორი ოჯახისა ყოფილაო. მაგრამ მან არ იცის, სად ესაზღვრებოდნენ ისინი ერთმანეთს, რა ნაწილი იყო ერთისა და რა მეორესი. ამიტომ ეს პრინციპი უყოყმანოდ უნდა უარვყოთ. მართალია, ეს ერთის მხრივ უსამართლობაა იმათ მიმართ, ვინც „წელზე ფეხს იდგამდა“ და ისე შეიძინა ქონება, კოლექტივმა კი წაართვა იგი, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა. აბსოლუტური სამართლიანობის მიღწევა ამ საქმეში წმინდა წყლის უტოპიაა. ჩვენ უნდა ვეცადოთ შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ღირეცვათ სამართლიანობა. ჩვენ აღარა ვართ მამაპაპური მიწის მემკვიდრენი, ჩვენი შვილები კი უნდა იქცნენ ჩვენს მემკვიდრეებად. სწორედ ამას ნიშნავს მიწის გადაცემა მემკვიდრეობის უფლებით. გლეხს კარგად უნდა განვუმარტოთ ეს, რათა არ მოხდეს უსიამოვნო ექსცესები. ყველა ხომ ვერ მოითმენს უსამართლოდ მიწის წართმევას. გამორიცხული არ არის ამ ნიადაგზე კაცთაკვლა (სხვათაშორის ამ საშიშროებაზე რამდენჯერმე მივუთითეთ რაიონის ხელმძღვანელობას და ვთხოვეთ ფრთხილად მიდგომოდნენ მიწის საკითხს, მაგრამ პასუხი ერთი იყო—ნუ გეშინიათ, არაფერი მოხდებაო, ღმერთმაც ქნას!), ზოგიერთი თავმჯდომარე ხომ საერთოდ არ ერევა ამგვარ დავებში და ერთმანეთში „მორიგებას“ ურჩევს მოსარჩლე-მოპასუხეს. ამაზე იტყვიან—სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

* * *

ვითარებას ართულებს ისიც, რომ აპარატის მუშაკები გლეხებს აფრთხილებენ მოსალოდნელი „წელში გამწყვეტი“ გადასახადებით, ტექნიკის უქონლობით და სხვა მისთანანით. ზოგიერთი იმასაც კადრულობს, რომ იმუქრება, ვინც გლეხურ მეურნეობაზე გადავა, იმას ყველაზე გვიან ან საერთოდ არ დავუხნავთ მიწას, ხელ-ფეხს ისე შევუკრავთ, შიმშილით მოკვდებაო. ერთეული ასეთი შემთხვევები უკვე წელსაც მოხდა. ზოგი ხელმძღვანელი მუშაკი „თავგასული“ გლეხის საქვეყნოდ შეურაცხყოფასაც არ ერიდება.

გლეხთა დისკრიმინაციის სურათი რომ სრული გახდეს, ვიტყვი იმასაც, რომ ზოგან ყოველნაირად უშლიან ხელს ცალკეულ კოოპერატორებს, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ აპარატისაგან შედარებით დამოუკიდებლობა, და ეს მაშინ, როცა მმართველი რგოლის წარმომადგენლები, მიხვდნენ რა რღვევის პროცესის შეუქცევადობას, ცდილობენ რაც შეიძლება სარფიანი კოოპერატივების ჩამოყალიბებას თავიანთთვის ჯერ ისევ არსებული კოლმეურნეობების ხარჯით.

ყველაფერ ამის შემდეგ გასაკვირიც არაა, რომ გლეხები ასე შეაშინა მომავალმა, რომლის გაურკვევლობა ხელს აძლევთ კოლმეურნეობათა „მხურვალე“ თაყვანისმცემლებს. ისიც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თუ ადრე მთელი სოფლები წერდა კოლექტიურ თხოვნა-განცხადებებს კოლმეურნეობიდან გასვლის თაობაზე, დღეს სულ ორიოდე კაცს აქვს განცხადება დაწერილი. ამ ფაქტს კარგად იყენებს ზოგიერთი თავმჯდომარე და გვარწმუნებს, გლეხებს არ სურთ კოლმეურნეობიდან გასვლა. ზოგი იმასაც იშველიებს, საკოლმეურნეო წესდება არ გვაძლევს კოლმეურნეობის დაშლის უფლებასო. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყურით მოთრეული მიზეზები დღემდე დიდ გასავალშია.

* * *

რას გვიქადის მომავალი? ქართველობის უზენაესი მიზანი და ამოცანა საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევაა.

ამ მიზნის რეალობა ეჭვმიუტანელია, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა (იმის მიუხედავად, როგორი იქნება იგი) უპირველეს ამოცანად მიიჩნევს გლეხზე ზრუნვას, რადგან სხვანაირად შეუძლებელია უპირატესად აგრარულმა ქვეყანამ შეინარჩუნოს და განმტკიცოს დამოუკიდებლობა. მთავრობა განახორციელებს სწორედ იმ ღონისძიებებს, რაც შემოგვთავაზა ბატონმა ბაკურ გულუამ. მაგრამ დამოუკიდებლობამდე ჯერ შორია, მანამ კი უნდა მივაღწიოთ მაქსიმუმს, რისი მიღწევაც შეიძლება დღევანდელ ხელისუფლებასთან საზოგადოებრივი შეურნეობები უყოყმანოდ უნდა დაიშალოს, მიწა მემკვიდრეობის უფლებით გადაეცეს გლეხს. (ამოსავალი პრინციპი იჯარა), კოლმეურნეობის ქონება მთლიანად დაუბრუნდეს გლეხობას (შეიძლება ნაწილი გადაეცეს სოფლსაბჭოს), მიწა უნდა მიეცეს უსასყიდლოდ (გლეხს არა აქვს სახელმწიფოს ვალი, პირიქით კია). ტექნიკა მიეყიდოს ან სოფლის შეხედულებისამებრ მიეცეს ცალკეულ პიროვნებას, კოოპერატორს და თანხა მოხმარდეს სოფლის საჭიროებას. დაწესდეს მინიმალური რენტა, მაგალითად, ისეთი, როგორც საკარმიდამოზეა დაწესებული (სხვათაშორის ესტონეთში მიწის რენტა ახლაც 9 მანეთს არ აღემატება), რა თქმა უნდა, სახელმწიფო გეგმა მთლიანად უნდა უარვყოთ.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება დღევანდელ პირობებში შეიძლება. გადამწყვეტი სიტყვა აქ გლეხობამ უნდა თქვას, ვენდოთ აღმასკომისა და კოლმეურნეობის ე. წ. „კომისიებს“, ნიშნავს კოლმეურნეობის ქონება ხელში ჩავუგდოთ რამდენიმე კაცს, შევლახოთ სოფლის ინტერესები. ამიტომ, თუ კოლმეურნეობებში უკვე მიმდინარეობს კრებები, ისინი უნდა წარმართოს გლეხობამ, შექმნას სწორედ ის თვითმმართველობის ორგანოები, რომელზეც ხშირად გვქონდა ლაპარაკი მათთან და მიხედონ თავიანთ ქონებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვევლობის წყარო არ დაშრება.

ავტორისაბან: მკითხველს ვთხოვ, ისე არ გამიგოს, თითქოს აპარატის ყველა მუშაკს და ყველა თავმჯდომარეს ერთ ტაფაში ვაქცევ, არა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ შორის პატიოსანი, ხალხზე გულშემატკივარი ადამიანებიც არიან, ვიცნობ კიდეც ასეთებს. იმედი მაქვს, რომ ისინი ბოლომდე გლეხობის მხარეზე დადგებიან, ხოლო მათ, ვინც შეიცნო თავი ჩემს წერილში, ვთხოვ, გაიხსენონ ლეგენდა უძღებ შვილზე და დაუბრუნდნენ მამას, მშობელ ხალხს, იფიქრონ მასზე. ჯერ კიდევ არაა გვიან.

ია ხმელიძე.

მურის ციხე

(დასასრული).

მეოთხე სართული მაშიკულებით იყო აღჭურვილი, სართულშუა ხის გადახურვები ამჟამად ჩამოქცეულია. კოშკს ჩრდილო დასავლეთის კუთხეში გალავნის თხელი კედელი ერთვის.

მურის ციხე გზაჯვარედინს კეტავდა. ლაჯანურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში გადმოსული გზა ორბელსა და ჩხუტელზე გამოვლით, ციხის ქვეშ დღევანდელი მურის ხიდიდან ცოტა ქვემოთ, „ლაწუნდარის" ციხის ქვეშ გამოდიოდა, იმ ადგილას დღესაც „ძველნახიდვარს" ეძახიან, ამის შემდეგ ერთი გზა ლენტეხისაკენ აუყვებოდა მდინარეს, მეორე კი, მარჯვენა სანაპიროთივე ცხენისწყალს ქვემოთ ჩამოუყვებოდა. კლდეკარის სიგანე მურთან 50 ნაბიჯი იყო, ხიდის სიგრძე კი—40. ახლა ლენტეხი-ცაგერის გზის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით აფეთქებებით ეს კლდეკარი შესამჩნევად გაფართოვდა, მაგრამ ამჟამადაც იგი ერთ-ერთი ვიწრო ადგილია ხეობაში.

მურის ციხის გაღმა, მარჯვენა, კლდოვან ნაპირზეც იდგა ერთი კოშკი, რომელსაც რაგვის ციხე, ანუ „ლაწუნდარა" ერქვა. იგი მურის მდინარისპირა კოშკის სიმაღლეზეა და მისი თანდართული ნაგებობა უნდა იყოს—ციხის ძველ ფენებთან შედარებით უფრო მოგვიანო, ცხადია, სიმაგრეთა ამ სისტემით მურის გასასვლელი ცხენისწყალთან საიმედოდ იკეტებოდა.

მურის ციხე ყოველთვის მოქმედი იყო. გვიან პერიოდში დადიანებს მურში სამთავრო სასახლე ჰქონდათ. 1770 წელს, როცა სამეგრელო ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს, მურის ციხეში იყო გამაგრებული სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი, რომლის მეუღლე, ერეკლე მეორის და ელისაბედი აქვე გარდაიცვალა და იგი დასაფლავებულია ცაგერის ეკლესიის ჩრდილო დასავლეთ კუთხეში. ასევე, როცა 1855-56 წლებში ოსმალეთის ჯარებმა ომარ ფაშას მეთაურობით დაიკავეს დასავლეთ საქართველოს მეტი წილი, სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი გამაგრებული იყო მურის ციხეებში და როცა გაიგეს, რომ თურქთა ჯარები დამარცხებული და განდევნილი იქნა დასავლეთ საქართველოდან, მურის ციხის ქვემეხების გასროლით ეს სასიხარულო მოვლენა ამცნეს მოსახლეობას.

მურის ციხეების ისტორიაზე ბევრი ლეგენდა, თქმულება და ხალხური გადმოცემაა.

გვიან შუა საუკუნეებში იმერეთის მეფეებსა და სამეგრელოს მთავრებს შორის მუდმივი დავა იყო ლეჩხუმისათვის. ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მურის ციხეები ეკუთვნოდა 9 ძმა ჩარკვიანებს, რომლებიც იმერეთის მეფის ერთგულნი იყვნენ. სამეგრელოს მთავარმა დადიანმა ისინი მოტყუებით გამოიყვანა მურის ციხიდან და ცხრავე ძმას თავები მოჰკვეთა, მურში დაასაფლავა და ციხეები დაისაკუთრა. ასევე ბევრი თქმულებებია სახელწოდებების „მურის", „ლაწუნდარას" და სხვათა წარმოშობასთან დაკავშირებით.

1987 წელს რაიონის ახალგაზრდებმა კარგი ინიციატივა წამოიწყეს. ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით შედგა მურის ციხეების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების პროექტი. დაიწყეს პრაქტიკული საქმიანობა. ახალგაზრდების ძალებით შაბათობებით გაწმენდილ იქნა ციხის შემოგარენი, კედლების მონაშალი მასალა. ვერტმფრენის დახმარებით მიზიდული იქნა სამშენებლო ქვიშა და სხვა მასალები. მაგრამ შემდგომში შეჩერდა ეს კარგი წამოწყებული საქმე. მას შემდეგ ციხეებს არავინ გაჰკარებია. არადა ციხის კედლები საფრთხეშია, დანგრევის პირასაა მისული, სასწრაფო გამაგრებას საჭიროებს.



მურის ციხე,
აღმოსავლეთის ცალკე მდგომი კოშკი

შენთვის, მკითხველო!

ცაგერის წიგნის მაღაზიაში მიღებულია და გაყიდვაშია შემდეგი სახის ლიტერატურა:

გ. ქავთარია, ძმები გრაკხუსები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990 წ.

წიგნი მიძღვნილია ცნობილი რომაელი რეფორმატორების ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსების მოღვაწეობისადმი.

ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1989 წ.

პარიზში 1975 წელს გარდაცვლილი ქართველი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის წიგნი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიას 1918-1921 წლებში. ისტორიას ვიქტორ ნოზაძე ანზოგადოებს უცხოეთში გამოცემული მანამდე უცნობი მასალების მიხედვით, რაც ამ ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ისტორიოგრაფიაში. წიგნი საქართველოში პირველად იბეჭდება.

შ. გრიგოლია. ადამიანის ორგანიზმის საიდუმლოებანი, თბ, „საქართველო" 1990 წ.

წიგნში მოთხრობილია ადამიანის ორგანიზმში ტვინის, გულის, სისხლის, ფილტვების, ღვიძლის, თირკმლების სასიცოცხლო ფუნქციებისა და დანიშნულების შესახებ, გადმოცემულია ფიზიოლოგიურ ან ნორმალურ მდგომარეობაში მათი მოქმედება და [illegible] ლიც თითოეულ მათგანს აკისრია ადამიანის სიცოცხლისათვის.

ძილი და სიზმარი. სიზმრების მეცნიერულად დასაბუთებული ახსნა შედგენილი ცნობილი მედიუმის მის-პასეს მიერ, თბილისი, საქინფორმკინო, 1990 წ.

ადამიანის ინტერესი შეუცნობელი შეგრძნებებისა თუ ხილვების მიმართ ყოველთვის ძლიერი იყო. ამიტომ მიაწერდნენ სიზმარს წინასწარმეტყველურ თუ ზებუნებრივ თვისებებს. წიგნში შეძლებისდაგვარად არის ახსნილი სიზმრის არსი და მუდმივი ხილვების მნიშვნელობა.

აკ. ბაქრაძე, კინო, თეატრი, თბ. „ხელოვნება", 1989 წ.

ამ წიგნში დაბეჭდილი წერილები ეხება კინოსა და თეატრის ცხოვრება-საქმიანობას. ავტორი უშუალო მონაწილეა ამ ცხოვრება-საქმიანობისა. წიგნი წარმოდგენას მისცემს მკითხველს რა საკითხები აწუხებდა კინოსა და თეატრს გარკვეული წლების მანძილზე, რამდენად არის ის ძველი სატკივარი დღეს განკურნებული, თუ არაფერი შეცვლილა და ძველი ჭრილობა ისევ დაუნდობლად გვახსენებს თავს?—ამ თემაზეა მიძღვნილი წერილები „გახსენება", „არ სდებენ საძაბუნოთა", „რატომ ხდება ასე?" „პროზა თუ დრამატურგია", „გუშინდელნი დღეს" და სხვა.

სიგნალი

სხვა გამოსავალი არაა

ვითმინეთ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს იძულებული გავხდით თქვენთვის მოგვემართა. ან როგორი მოსათმენია, როცა ქალაქში ასე უპატრონოდ გაშვებული პირუტყვი ახლა სახლებში შემოგვივარდა. გვერწმუნეთ, არ ვაჭარბებთ, დღეა თუ ღამე, კარს ღია დატოვებ და გვიტევენ უზარმაზარი ღორები.

ახლა იმ ზომამდე მივედით, რომ თუ არ დაიჭერენ, არ დააჯარიმებენ პირუტყვის ვაიპატრონებს, ჩვენ თავად დავიჭერთ და მანამ არ დავუბრუნებთ, სანამ ზარალს არ გადავახდევინებთ. თუმცა ეს არაა გამოსავალი, რაკი კომუნალური მეურნეობა ისევ ერიდება ასეთ მეპატრონეებს, რომელთაც ჩირის ფასადაც არ უღირთ ქალაქის კულტურა და იერ-სახე, ჩვენ ჩავაბარებთ დამამზადებელ ორგანიზაციებს. ამას ხმამაღლა ვაცხადებთ და შევასრულებთ კიდეც.

ქალაქის ორმოცბინიანი (თამარის ქუჩა), 8-ბინიანი (ნინოშვილის ქუჩა) სახლების მცხოვრებლები.

მოკლე ამბები

კაბა ფირფიტის დახმარებით

ოპერატორ-გამომჭრელმა კომპიუტერში შეიყვანა მცირე ზომის, გრამფირფიტის მსგავსი დისკო, გამომჭრელმა მანქანამ, რომელიც ელექტრონულ გამომთვლელი მანქანის ბრძანებებს ემორჩილება, სწრაფად, ზუსტად და ეკონომიურად გამოჭრა ქსოვილისაგან პალტოს დეტალები, რომლის მოდელიც, როგორც მელოდია, დისკოზე იყო ჩაწერილი.

ეს ტექნიკა ტალინის ვ. კლემენტის სახელობის სამკერვალო გაერთიანების გამომჭრელ საამქროში დააყენეს შვეციისა და საფრანგეთის ფირმებმა, მათი დახმარებით საწარმოს პროგრამისტებმა, რომლებმაც ეს ხელოვნება შვედი კოლეგებისაგან შეისწავლეს—დისკეტებზე ჩაწერეს მთელი მოდელების სამი მეოთხედი, რომელთა გამოშვებაც დაგეგმილი აქვთ წელს.

გამომჭრელი ავტომატები ორი ცვლა ფუნქციონირებენ. მათ ერთი ოპერატორი ემსახურება. უფრო მეტად შემოქმედებითი გახდა კონსტრუქტორთა შრომა: მათ ამიერიდან აღარ სჭირდებათ უამრავი მრუდთარგების დამზადება და გამრავლება გამოსაჭრელად—მთელი თარგები მანქანის მეხსიერებაშია. და უმთავრესი, მთელი წარმოება ერთბაშად შეიძლება გადაკეთდეს ახალი მოდელების ტანსაცმლის გამოსაშვებად.

საოცრება ლერწმის წნელისაგან

მშობლიური ქალაქის მინიატურული პანორამა შექმნეს ჩერნოვიცკის ოლქის სოფელ ხოტინში ცოლ-ქმარმა ბროდოვინსკებმა. მათი მყუდრო ბინის ერთ-ერთ ოთახში გაშენებულია მწვანე ბაღებში ჩაფლული თეთრი ქვით ნაშენი სახლები, ქარის წისქვილები, რომელთაც თავზე დასცქერის ცნობილი უძველესი ციხე-სიმაგრე.

ყოველ შემოდგომაზე, პირველი ყინულის გამოჩენისას ოჯახის უფროსი ამ წნელს ამზადებს მდინარე დნესტრის ნაპირების გასწვრივ, ახარისხებს, აცლის ქერქს, ორთქლში გამოჰყავს და აშრობს. და ამგვარად მიღებული ნამზადისაგან მისი მეუღლე ავლენს თავის ოსტატობას.

დაწვნისადმი სიყვარული რაისა გრიგორიევნას მემკვიდრეობით გამოჰყვა მამისაგან. მისი ხელით გაკეთებული დეკორატიული ავეჯი, აჟურული საშაქრეები, საპურე, კალათები ყვავილებისა და სხვა ნივთებისათვის, მოხდენილი და ლამაზია. ისინი ამშვენებენ როგორც პატრონის, ისე ნაცნობებისა და ნათესავების ბინებს, გახდა უკრაინის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები, ქვეყნის ბევრ ქალაქში იყო დემონსტრირებული დათვალიერებებსა და გამოფენებზე.

მეუღლე გელა, დედა შურა, მამა არქიბო, შვილები დათო ჯემალი, როზა, როსტომი, დები მაყვალა, მერი, იამზე, ძმა რომანი, რძლები ლოლა ბენდელიანი, ლედი ბურჯალიანი, მაზლი გურამ მუშკუდიანი, სიძეები ბორის ლიპარტელიანი, გელა ჯანიაშვილი, ვანგერ მამასახლისი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული (ფაცო) არქიბოს ასული ხეცურიანი-მუშკუდიანი.

დაკრძალვა 4 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ლასურიაში.

ცაგერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა ხეცურიანს ბიძაშვილის

ნანული ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

მეუღლე იორამი, შვილები ამირანი, ომარი, ლელა, რძლები ფოთოლა კოპალიანი, გოგუცა ჭაბუკიანი, ბაბუცა, მარო, სიძე ზურაბ თუთისანი, შვილიშვილები ნინო, ივერი, დები გოგუცა, საშა, მაზლები ალექსანდრე, ბიჭიკო, მულები საშა, ბაბილო, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი დომენტის ასული ქომეთიანი-ფუტკარაძე.

დაკრძალვა 4 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ბარდნალაში.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34,
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, [illegible] 66539, შეკვეთა [illegible] ტირაჟი [illegible]
საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,